

მხოლოდ ზეპირ განცხადებებად დარჩენილი პრიორიტეტები - სკოლის სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა საშუალო ფენის ოჯახების დაწყებითი და საბაზისო კლასის მოსწავლეებში

ავტორი - თეა იოსელიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე არსებული გამოწვევები 2010-2011 წლებში უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა- განვითარებასთან ერთად, ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწასა და სასკოლო გამოცემების ერთიანი სტანდარტის შექმნას ითვალისწინებდა, ასევე მოიაზრებდა სასკოლო სახელმძღვანელოების ღირებულების დაკლებას და ხშირი შეცვლის აკრძალვას.

აქედან სკოლებში პირველიდან მეექვსე საფეხურის ჩათვლით გამოცემის ერთიანი სტანდარტი ახალი სასწავლო წლიდან დამკვიდრდა, რაც შეეხება განათლების მინისტრის განცხადებაზე დაფუძნებულ მოსალოდნელ სასიამოვნო სიახლეს, რაც ფასებთან დაკავშირებით უნდა გატარებულიყო ყველა წიგნი ათ ლარამდე, გურულებს ხელში ფაქტებით გადაფარულ არასასურველ რეალობად შერჩათ. გამარტივებული პროცედურებისთვის თავიდანვე ნარჩევი `ბიბლუსის` და `ჯი პი სის` პრინციპში არაორგანიზებული და ყოველგვარ მობილიზაციას მოკლებული მომსახურების გადამკიდე მყიდველებს (გამოწერა ხან ხდება, ხან _ არა. წიგნები შემოდის გარკვეული გამომცემლობის, ისიც მხოლოდ რამდენიმე ცალად, შემოდის დაგვიანებულად) მხოლოდ გადამყიდველებისაგან უწევთ წიგნების შეძენა, თან ნაწილ-ნაწილ და შავ ბაზარზე არსებულ გაცილებით მაღალ ფასებში. მაგალითად, 7 ლარად ღირებული სახელმძღვანელო ჩვენთან, ოზურგეთში 10 ლარი ღირს, 3 ლარად შეფასებული რვეული _ 5ლარი. ავიღეთ რამდენიმე სახელმძღვანელო, რომლის საყიდლად მშობელს 10 ლარზე მეტი, ან ორჯერ ათი ლარი სჭირდება: გამომცემლობა `მაკლიმანი` ავტორები ბოუენი, ჰოკინგი ინგლისური სრული კომპლექტი 25 ლარი (წიგნი, ძირითადი სამუშაო რვეული და ორი სამუშაო რვეული). ქართული ენა როდონაია და ქართულის რვეული არაბული 15 ლარი. მუსიკა ორ ნაწილად 11 ლარი. გამოიკვეთა ისიც, რომ რაც შეიძლება მეტი თანხის ამოღება რომ მოხდეს მშობლებისგან და სწავლამაც უფრო მეტად `დაიფასოს` თავი, რაც არ დაატიეს, თუ ჩაატიეს ერთ სახელმძღვანელოში, მოაქციეს 2-ში, 3-ში და 4-ში. ესეც დამატებითი პრობლემა ბავშვისთვის, ორ-ორი ინგლისურით, ორი ხელოვნებით, ოთხი ქართულით, ოთხი მათემატიკით და ა.შ. ყოველდღიური სწავლა, დაახლოებით ათ კილოგრამამდე დამძიმდა. საბოლოოდ კი, ვიღებთ, გაღიზიანებულ მშობელსა და ბავშვს, რომელთაგანაც ერთს აღნიშნულმა პრობლემამ უფრო მეტად ყოფა დაუმძიმა, მეორეს კი _ ზურგზე მოკიდებული ჩანთა.

დღეს ოზურგეთში ყველაზე მეტ უკმაყოფილებას ის ოჯახები გამოთქვამენ, რომლებიც არ მიეკუთვნებიან არც სოციალურად შეჭირვებულებს და არც მდიდარ ფენას. საშუალო ფენას მიეკუთვნებულები ხშირად ვერ ახერხებენ ბავშვებისთვის ყველა საჭირო სახელმძღვანელოს შეძენას, ან ახერხებენ საკმაოდ დაგვიანებულად, რაც მათივე განმარტებით, თავის მხრივ

სერიოზულად აფერხებს ბავშვში ხარისხიანი და სრულყოფილი განათლების მიღების პროცესს. პედაგოგს კი, ხელი ეშლია გაკვეთილის ნორმალურად ჩატარებაში.

განსაკუთრებით მტკივნეული მდგომარეობა ამ მხრივ სოფლის სკოლებში შეინიშნება, სადაც უმუშევრობა, აქედან გამომდინარე კი, მატერიალური სიდუხჭირე უმრავლესობას მძიმე პრობლემად აწევს.

ქ.ბ. სოფელ მელექედურის მკვიდრია, 6 სულიან ოჯახში 3 არასრულწლოვანი ცხოვრობს. ოჯახის ერთადერთი შემოსავალი, რამდენიმე ძირი თხილი, ცოტაოდენი ციტრუსი და ოჯახის უფროსის პენსიაა. ოჯახი ვერც სოციალურ შემწეობას იღებს. დიასახლისი აცხადებს, რომ მათთვის ყველაზე მძიმე პერიოდი სექტემბრიდან იწყება, როცა ორი შვილის სასკოლოდ მომზადებაზე და სახელმძღვანელოების შეძენაზე უნდა დაიწყოს ზრუნვა: `ძალიან ძნელია ორი ბავშვის სასკოლოდ მომზადება, ტანსაცმელებს რომ თავი დავანებოთ, სახელმძღვანელოების შეძენას უპასუხისმგებლოდ ხომ ვერ მოვეკიდებით? უმცროსი გოგო მესამე კლასელია და ყველა სახელმძღვანელო რომ შევუძინოთ 150 ლარამდე თანხა გვჭირდება. მთელი კომპლექტებია შესაძენი, რვეულებიც ხომ უნდა? კიდე ათასი წვრილმანი და ეს ყველაფერი დაახლოებით 200 ლარამდე გვიჯდება. უფროსი მეექვსე კლასში სწავლობს, იმას მეტი უნდა, გამომდინარე სახელმძღვანელოების რაოდენობიდან. ჩვენი წლიური შემოსავალი დაახლოებით 600-800 ლარია, მითხარით, როგორ შევძლებ ამ თანხის ყველა მიმართულებით განაწილებას? უფროსს ინგლისურის და ისტორიის წიგნები ვერ შევუძინე, ჯერ შემოტანაზე იყო შეფერხება, მაღაზიებში ვერ ვიშოვეთ, გადამყიდველებთან 2-3ლარს ზოგზე 5 ლარსაც ამატებდნენ, ამდენის შესაძლებლობა არ გვქონდა და დაგვრჩა ბავშვი უწიგნოდ. მერე იწერდა გაკვეთილებს და ისე სწავლობდა. თვითონაც ცოდვას, მაგრამ, ვერაფერს ვახერხებთ. თხილს და ციტრუსს რომ გავყიდით, იმით ბავშვებს საკვებიც ხომ უნდა ვუყიდოთ?

ამავე სკოლის პედაგოგი ნ.თ. საუბარში აღნიშნავს, რომ 100 კონტიგენტთან სკოლაში 60-მდე ბავშვი მაინც იქნება, ვის ოჯახებსაც მათთვის სახელმძღვანელოების შეძენა არ შეუძლიათ: `ეს ნაწილობრივ აფერხებს სწავლის პროცესს. როცა ბავშვი უწიგნოდ გიზის გაკვეთილზე ჩნდება იმის შეგრძნება, რომ ის კარგად ვერ ითავისებს რასაც ეუბნები. არის წიგნებში გასაკეთებელი სავარჯიშოებიც, რომელსაც ნაწილი უწიგნობის გამო ვერ აკეთებს, იძულებული ვარ დაფასთან ვიმუშაო და ეს დროში უფრო მეტად იწელება`.

თითქმის იგივე სიტუაციაა ქალაქის სკოლებში, განსაკუთრებით მაღალ კლასებში ბავშვების აბსოლიტური უმრავლესობა გარკვეული სახელმძღვანელოების გარეშე რჩებიან.

მეთერთმეტე კლასელი ქ.დ. ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ მისთვის მშობლებმა სასკოლოდ მხოლოდ 4 სახელმძღვანელოს შეძენა მოახერხეს: `ჩემს კლასში 21 ბავშვი ვართ, აქედან მხოლოდ ერთი გვყავს სოციალურად შეჭირვებული და მხოლოდ იმას აქვს სახელმძღვანელოთა სრული კომპლექტი. კიდე ორ ბავშვს აქვს ყველა სახელმძღვანელო, დანარჩენებს მხოლოდ რამდენიმე გვაქვს. ვთხოულობთ ერთმანეთისგან წიგნებს და ვაქსეროქსებთ. ესეც დამატებითი ხარჯია, მაგრამ სხვა საშუალება არ გვაქვს. მე ძმაც მყავს მეოთხეკლასელი, იმის წიგნების შეძენა 150 ლარამდე დაუჯდა მშობლებს, მე 170 ლარი

მჭირდებოდა. ამდენი საშუალება არა აქვს ჩემს ოჯახს. რახან ჩემი ძმა პატარა იყო და მისთვის ხელისშემწე განსაკუთრებით არასახარბიელო შედეგს გამოიღებდა, ვარჩიეთ მისთვის გვეყიდა ყველა წიგნი.

ის, რომ საშუალო ფენის ოჯახებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა განსაკუთრებით მაღალი კლასის მოსწავლეებისთვის ჭირს, ამას ყველა იმ სკოლის მაგალითი მოწმობს, რომელი სკოლებიც მასალის მომზადებისას სამიზნედ ავირჩიეთ. სოფლის მცირეკონტიგენტის სკოლებში მშობლები, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც ცალსახად აღნიშნავენ, რომ აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად უშლის ხელს სწავლა-სწავლების პროცესს და სამივე კატეგორიაზე თავისებურად მტკივნეულად აისახება საშუალო ფენის ოჯახებს რთულ ყოფას წიგნებზე მაღალი ფასები უფრო მეტად უმძიმებთ, უწიგნოდ დარჩენილ ბავშვებს გაკვეთილების ხარისხიანად მომზადებაში ეშლებათ ხელი, მასწავლებლებს კი, სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვაში. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სახელმძღვანელოს გარეშე სწავლის პროცესი განსაკუთრებით ფერხდება ტექნიკური საგნების გაკვეთილებზე, როცა ძირითადი დრო სავარჯიშოებს ეთმობა: 'ძალიან ძნელია ასეთ დროს ბავშვის ყურადღება მიიპყრო, სიზარმაზე რაღაც დოზით ყოველთვის დევს ბავშვი, ამას დამატებული უწიგნობა და ეს უკვე საკმარისი მიზეზია გაკვეთილის სრულფასოვნად ჩატარებაში ხელი შეგეშალოს. ეს აუცილებლად ჰყოფებს ასახვას ბავშვების აკადემიურ მოსწრებაზე. აცხადებს #4 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ხათუნა ჯიშვილი. გაცილებით მარტივად ყოფილა საქმე მაგალითად ქართულის სახელმძღვანელოს გარეშე დარჩენილი უფროსკლასელებისათვის, რომლებსაც ნაწარმოებების მოძიება მწერლების სხვა გამოცემებიდანაც შეუძლიათ, რომელთა ნაწარმოებების ნაწყვეტებსაც სასწავლო პერიოდში გადიან.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ფაქტი მხოლოდ ერთზე მეტყველებს, მაღალ კლასებში უწიგნოდ დარჩენილი მოსწავლეები არც ქალაქის და მით უფრო სოფლის სკოლაში ბოლო რამდენიმე წელია არავის უკვირს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე 'საკვებ ნივთიერებებსა და ენერჯიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისთვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ' ჯანდაცვის მინისტრის 2003 წლის დადგენილების შესაბამისად, საქსტატი 2004 წლიდან საარსებო მინიმუმის მაჩვენებელს მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით ანგარიშობს. აღნიშნული მონაცემებით, ოთხსულიანი საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმად 258,5 ლარია გათვლილი. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს, კონკრეტულად გურიაზე მონაცემები არ დევს, სხვადასხვა რეგიონების გრაფაში, კი სადაც სავარაუდოდ გურიაზე იქნება მოხსენიებული, მოსახლეობის 15,4% უმუშევარია. გურიასთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის მოპოვებას ოზურგეთის სტატისტიკის სამსახურში შევეცადე, ადგილზე მპასუხობენ, რომ მათ ინფორმაციის გაცემის უფლება არა აქვთ. გამომდინარე იმ ზოგადი სტატისტიკიდან, რისი მოპოვებაც სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ვებგვერდიდან შევძელით, ფაქტია, რომ

საშუალო ფენის მაგალითად 4-სულიანი ოჯახი, რომელსაც ორი მოსწავლე ჰყავს, მათი სასკოლოდ მომზადებისთვის საარსებო მინიმუმზე მეტს ხარჯავს.

მაგალითისთვის ავიღეთ საშუალო ფენის ოჯახის მეოთხეკლასელი და მეცხრეკლასელი მოსწავლის სახელმძღვანელოთა ნუსხა და მასზე მითითებული ოფიციალური ფასები. ერთი კონკრეტული ბავშვის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოების სრული კომპლექტის შეძენა მშობელს 96 ლარი უჯდება. აქედან ინგლისურის მთლიანი კომპლექტი 25 ლარი (წიგნი 10 ლარი, ძირითადი სამუშაო რვეული 8 ლარი, ორი სამუშაო რვეული 3,50, 3,50 ლარი), მათემატიკა ორივე ნაწილი 17 ლარი, ქართული ენა ორ ნაწილად 15 ლარი. ბუნება წიგნი და რვეული 10 ლარი. მუსიკა ორ ნაწილად 11 ლარი. ხელოვნება ორ ნაწილად 10 ლარი.

სამოქალაქო თავდაცვა 8 ლარი.

მეცხრე კლასის სახელმძღვანელოებზე კი 111, 30 ლარია საჭირო. ქართული ენა წიგნი და რვეული 19 ლარი, მათემატიკა 12,50 ინგლისური სრული კომპლექტი 14, 80 ლარი, ფიზიკა 7, 50, ქიმია 8 ლარი, გეოგრაფია 13, 50 ლარი, ბიოლოგია წიგნი და რვეული 9, 50 ლარი, სამოქალაქო 11 ლარი, ხელოვნება 7 ლარი, მუსიკა 6 ლარი, ისტორია 9, 50. ეს იმ საუკეთესო შემთხვევაში თუ სახელმძღვანელოების შეძენას მასზე ოფიციალურად მითითებული თანხებით შეძლებდნენ, რაც ოზურგეთში ფაქტიურად შეუძლებელი იყო. გამომდინარე იქედან, რომ სრული კომპლექტები და ყველა სახელმძღვანელო არც `ბიბლუსში` შემოდიოდა და არც `ჯი-პისის` აფთიაქში, გადამყიდველებთან კი თითოეული წიგნის შეძენა ზუსტად 2-3 ლარის დამატებით ხდებოდა.

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინა ინარიძე ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ გაცილებით მოწესრიგებულია მდგომარეობა მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) და სოციალურად დაუცველი ოჯახის (სარეიტინგო ქულა 70 ათასი და ქვემოთ) შვილებთან და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან დაკავშირებით: `ამ კატეგორიის თითოეულ მოსწავლეზე სახელმწიფო ყველა საჭირო სახელმძღვანელოს უფასოდ არიგებს. ყველა სკოლას დავალებული აქვს შეაგროვონ მონაცემები კონკრეტული ოჯახების შეფასებების შესახებ, სადაც არის დაფიქსირებული მათი სარეიტინგო ქულები. ოჯახი, რომელიც შეფასებულია 70 ათას და უფრო ქვევით ქულებით, ყველა ასეთი ოჯახის მოსწავლეს ეძლევა ყველა სახელმძღვანელო რაც კონკრეტულ სკოლაში სჭირდება. კლასის მასწავლებელი მიუთითებს, რომელი ავტორის რა სახელმძღვანელოებს გადიან და იმის მიხედვით ჩამოდის სახელმძღვანელოები. ასევე უფასოდ ეძლევათ წიგნები შეძლებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს და მრავალშვილიანი ოჯახის შვილებს. მხოლოდ ოჯახი არ უნდა იხდიდეს ქონების გადასახადს და მათი შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ყოველწლიურად 40 ათასს`.

რამდენად გამართლებულია დღეისთვის არსებული ფასები სახელმძღვანელოებზე, მაშინ როცა ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელია, საარსებო მინიმუმი კი, მართლა მინიმუმადე დაყვანილი, ან როგორ უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, რომ სასკოლო სახელმძღვანელო ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, ამაზე არასამთავრობო ორგანიზაცია `ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის` წარმომადგენელი, ექსპერტი ლევან

მჯავანაძე შემდეგ აცხადებს: `განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დეკლარირებდა, რომ გრიფირებული სახელმძღვანელოს ფასი 10 ლარზე მეტი არ იქნებოდა. თუმცა რეალურად სასკოლო სახელმძღვანელოების ფასი გასულ წელს უფრო მაღალი აღმოჩნდა. უბრალო არითმეტიკას თუ მოვიშველიებთ ვნახავთ რა სიტუაციაში ვარდებიან ის ოჯახები (მშობლები), რომლებსაც არ აქვთ მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი, მაგრამ სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული ქულებით სიღარიბის ზღვარზე იყოფებიან. ვთქვათ და მართლა 10 ლარია ერთი სახელმძღვანელოს ფასი, ოთხ კომპლექტად დაყოფილი ერთი საგნის სახელმძღვანელო, მშობელს 40 ლარი ხომ უჯდება? ამას დავამატოთ ასევე რამდენიმე კომპლექტად დაყოფილი მათემატიკა, ინგლისური, ხელოვნება და ა.შ. ჩანთის, რვეულების და სხვა აუცილებელი სასკოლო ნივთების ფასი, ხარჯი უკვე 130-150 ლარს აღწევს 1 მოსწავლეზე. ეს მაშინ როდესაც ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 4-სულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმუმად 260 ლარია განსაზღვრული. გამოდის, რომ 4 სულიანი ოჯახი, სადაც 1 მოსწავლეა საარსებო მინიმუმის დაახლოებით 60%-ს აგვისტოში სასკოლოდ მომზადებაში ხარჯავს. რა უნდა ქნას ასეთმა ოჯახმა თუ მე-2 შვილიც სკოლის მოსწავლე ჰყავს? ვფიქრობ გამოსავალი არსებობს: უნდა შემცირდეს ან საერთოდ გაუქმდეს საგადასახადო დაბეგრვა სახელმძღვანელოებისთვის შემოტანილ საბეჭდ მასალებზე. ასევე შესაძლებელია შეიქმნას სასკოლო სახელმძღვანელოების ფონდი, წიგნების გაქირავების სისტემით (მსგავსი არსებობს უკრაინაში). და რაც მთავარია, განათლება მართლაც პრიორიტეტი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის, შესაბამისად უნდა გაიზარდოს ბიუჯეტით, რომელიც მიზანიმართულად დაიხარჯება ასეთ საჭიროებებზე`.

რაც შეეხება თავად სახელმძღვანელოებს, რომლებიც სხვადასხვა სკოლებში ირჩევა და რომელიც განსხვავებულია როგორც შინაარსის, ასევე ფასის და მოცულობის მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსცენტრში განმარტავენ, ნებისმიერ სკოლას ეძლევა შესაძლებლობა შეხვდეს ავტორებსა და გამომცემლობებს და უშუალოდ გაეცნობ, მათ მიერ შეთავაზებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს: ~რესურსცენტრი თავად უკეთებს ორგანიზებას, რომ პედაგოგები შეხვდნენ ავტორებსა და წინასწარ გაეცნონ სახელმძღვანელოს, ამის შემდეგ, ხდება ამ სახელმძღვანელოს განხილვა კათედრაზე. ყურადღება ექცევა თემატიკას, თანმიმდევრობას, რამდენად მისაღებია კონკრეტულიკლასის მოსწავლისთვის, რამდენად კარგად გასაგები. ყურადღება პირველ რიგში ექცევა შინაარსობრივად რამდენად კარგად არის დალაგებული, გამართული და დატვირთული~განმარტავს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინა ინარიძე.

ოზურგეთის #2 საჯარო სკოლის დირექტორი მარინა ჯაფარიძე აცხადებს, რომ აღნიშნულ სკოლაში მაისის თვეში იკრიბებიან სხვადასხვა ავტორები და პედაგოგებთან შეხვედრებს მართავენ, იკრიბება კათედრები და ირჩევა ის სახელმძღვანელოები, რომელიც ბავშვების ხარისხიან სწავლებაზეა გათვლილი: `სახელმძღვანელოები ირჩევა პირველ რიგში შინაარსის მიხედვით, არასოდეს პედაგოგები არჩევენ არ აკეთებენ მხოლოდ იმის მიხედვით, რომელი ავტორის გამოცემა უფრო ძვირი, ან იაფია, მთავარია სახელმძღვანელო ბავშვს აძლევდეს საფუძვლიანი განათლების მიღების საშუალებას და იყოს გათვლილი სწორედ იმ თემებსა და

საკითხებზე, რაც კონკრეტული ასაკის ბავშვისთვის ადვილად გასაგები იქნება. რაც შეეხება ზომას და მასას, დღეს ამაზე ფიქრი სერიოზულად დაიწყეს გამომცემლობებმა და გრიფირებული სახელმძღვანელოები ვფიქრობ აკმაყოფილებს ყველა იმ სტანდარტს, რაც ბავშვის ნორმალური განათლებისთვის საჭირო და გასათვალისწინებელია~.

და კიდევ ერთი, სასწავლო სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობის გარდა, სახელმწიფოსგან განსხვავებით, მშობლებსა და მოსწავლეებს ერთნაირად აწუხებთ `10 კილოგრამამდე დამძიმებული სწავლა~, რომელიც პრობლემებს უკვე მეორე, ჯანმრთელობის კუთხით აჩენს: `ორმაგი საფიქრალი გვაქვს, სახელმძღვანელოების შექმნა და ამ შექმნილით დამძიმებული ჩანთის ტარება ბავშვებისთვის, რომელიც არა მგონია მათ ჯანმრთელობაზე არ აისახებოდეს~_აცხადებენ მშობლები.

რეალურად რამდენად რეკომენდირებულია ბავშვისთვის კვირაში 5 დღე 10 კილოგრამამდე დამძიმებული ჩანთის ტარება და რეალურად უქმნის თუ არა საფრთხეს მოზარდების ჯანმრთელობას `სწავლის სიმძიმე~, მედიკოსები ერთპიროვნულად აცხადებენ, რომ ბოლოდროინდელი სტატისტიკა აღნიშნულით მიღებულ მძიმე შედეგებს უკვე მიუთითებს:

`ამაზე იყო კიდევ მომზადებული სატელევიზიო სიუჟეტი, სადაც სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ ბავშვებისთვის მძიმე ჩანთის ყოველდღიურად ტარება, მათი ჯანმრთელობის საფრთხეებთან და რისკებთან არ იყო დაკავშირებული. რეალურად კი, ბოლო ორი წლის მანძილზე სტატისტიკამ აჩვენა, რომ ძალიან გახშირდა მოზარდებში სქოლიოზის შემთხვევები. ძალიან ბევრი პაციენტი მოგვმართავს ამ ჩივილებით. ხერხემალი სუსტია, ამიტომ, როცა დატვირთვა დიდი აქვს, არასახარბიელო შედეგი ყოველთვის იჩენს თავს. ეს რამდენიმე მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ, მაგალითად სქოლიოზი პროგრესირების შემთხვევაში იწვევს გულ-მკერდის დაზიანებას, დეფორმირებული სხეული მოქმედებს სასუნთ სისტემაზეც, ითრევს ფილტვების და საბოლოოდ მივედივართ ძალიან მძიმე შედეგებამდე, მით უფრო, თუ ბავშვში ეს გენეტიკურია, ან მიდრეკილება აქვს სქოლიოზისკენ. გასაგებია, რომ განათლების სამინისტრო სწავლის ხარისხის ამაღლებაზე ფიქრობს, მაგრამ ეს ბავშვების ჯანმრთელობის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. არანაირად არ შეიძლება ამ პრობლემას ვინმემ გვერდი აუაროს და ეს არ გაითვალისწინოს, ვის სჭირდება ისეთი განათლებული თაობა, ვისაც ჯანმრთელობა შერყეული აქვს~?

ასეთია დღეისთვის ოზურგეთში და ზოგადად გურიაში განათლების სფეროში არსებული მდგომარეობა; მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და უმუშევრობის ფონზე საშუალო ოჯახების მოსწავლეების დიდ ნაწილს სკოლაში სახელმძღვანელოების გარეშე უწევთ სიარული, ეს მაშინ, როცა სახელმწიფო განათლების სფეროს ქვეყანაში პრიორიტეტულად მიიჩნევს და თითოეული ბავშვის სრულფასოვან სწავლასა და განათლების ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად ასახელებს. გამომდინარე იმ ხედვებიდან და პროგრამებიდან, კი რასაც სახელმწიფო ქვეყანაში განათლების დონის ამაღლებისკენ მიმართულს უწოდებს, მოსახლეობას ხელში ფაქტებით გადაფარულ არასასურველ რეალობად რჩებათ, რომლის შედეგად ერთნაირიდან გაღიზიანებულ მშობელს, იმიტომ, რომ საშუალება არა აქვს შვილს წიგნი შეუძინოს, მასწავლებელს, რომელსაც გაკვეთილის

სრულფასოვნად ჩატარების საშუალება არ ეძლევა და მოსწავლეს ვიღებთ, რომლისთვისაც ყველაზე მტკივნეული გაკვეთილზე უწიგნოდ სიარულია.

პროექტი „ახალი შესაძლებლობები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს“ დაფინანსებულია ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასოციაცია ზეკარისა და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.



OPEN SOCIETY INSTITUTE

სამოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE